თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი № 12

ქ. თერჯოლა 4 ოქტომბერი 2022 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე ბადრი ბუცხრიკიძე

სხდომას ესწრებოდნენ: 1. ბადრი ბუცხრიკიძე, 2. კობა კაცაძე, 3. ჯემალი ისაკაძე, 4. შალვა ჭანკვეტაძე, 5. გოჩა ვერულაშვილი, 6. მერაბი ბასილაძე, 7. როლანდი მესხი, 8. ფრიდონ გვენეტაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. თერმურ ქოჩიაშვილი, 3. ივანე ჩუბინიძე.

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 8
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზებო ობიეტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282227637, 03.10.2022 წ.).

მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (რუსთაველის ქ. №69-ში მდებარე უძრავი ქონების (ს.კ. 33.09.33.192) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით ა(ა)იპ თერჯოლის სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრისათვის გადაცემა) (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282227635 , 03.10.2022 წ);

მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების 2022 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282227636 , 03.10.2022 წ).

მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - საპრივატიზებო ობიექტია მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ორი ავტომანქანა ,,TOYOTA RAV 4" და ,,MITSUBISHI PAJERO" , ექსპერტიზის დასკვნით ირკვევა, რომ ავტომანქანები საჭიროებს მთელი რიგი დეტალების შეცვლას და სარემონტო სამუშაოების ჩატარებას, ამიტომ მერიას ამ ეტაპზე მიზანშეწონილად მიაჩნია მოხდეს მათი ელექტრონული აუქციონით პრივატიზება.

,,TOYOTA RAV 4" – 125000 ლარი;

,,MITSUBISHI PAJERO" – 15500 ლარი.

აზრი გამოთქვეს: გოჩა ვერულაშვილმა, კობა კაცაძემ, ფრიდონ გვენეტაძემ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზებო ობიეტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282227637, 03.10.2022 წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი - რუსთაველის ქ. №69-ში მდებარე უძრავი ქონება (ს.კ. 33.09.33.192) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით ა(ა)იპ თერჯოლის სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრს გადაეცემა ტურისტული - საინფორმაციო ცენტრის მოწყობის მიზნით.

აზრი გამოთქვეს: შალვა ჭანკვეტაძემ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (რუსთაველის ქ. №69-ში მდებარე უძრავი ქონების (ს.კ. 33.09.33.192) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით ა(ა)იპ თერჯოლის სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრისათვის გადაცემა) (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282227635 , 03.10.2022 წ).

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების 2022 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პრივატიზება ეხება მეორად სამშენებლო მასალებსა და დაზიანებულ რკინის სეიფებს.

აზრი გამოთქვეს: კობა კაცაძე, ჯემალ ისაკაძემ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების 2022 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282227636 , 03.10.2022 წ).

კომისიის თავმჯდომარე

ბადრი ბუცხრიკიძე